ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავჯდომარეს

ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

წარმოგიდგენთ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ფრაქცია „ევროპული საქართველო-თბილისი"-ს წევრების

1. გიორგი გაბაშვილის

- ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრი
- ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი

2. დათო ჟღენტის

- ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი
- სარევიზიო კომისიის წევრი

3. ელენე ოზაშვილის

- გარემოს დაცვის კომისიის წევრი
- იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრი

2021 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშს.

წინამდებარე ანგარიში შედგენილია ფრაქციის 2021 წლის პირველი იანვრიდან დღემდე შესრულებულ სამუშაოებზე დაყრდნობით.

2021 წლის საქმიანობის ანგარიში

ანგარიში შედგენილია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 88-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 88-ე მუხლის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ფრაქცია „ევროპული საქართველო-თბილისი"-ს წევრებმა 2021 წლის 20 ოქტომბერს, პანდემიის რეგულაციების დაცვით, გამართეს საჯარო შეხვედრა მუნიციპალიტეტის ამომრჩეველთან და წარუდგინეს ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ.

განსხვავებით წინა წლების შეხვედრებისა, რომლებიც ტარდებოდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეის საკრებულოს სხდომათა დარბაზში, მიმდინარე წლის შეხვედრა გაიმართა ღია ცის ქვეშ, რაც გამოწვეული იყო პანდემიით. შეხვედრის დროს გათვალისწინებული იყო რეკომენდაციები, რომლებიც გაცემულია შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურებისა თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ.

ანგარიშის განხილვისას უპასუხეს ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს და მოისმინეს მათი წინადადებები.

შეხვედრას უძღვებოდა ფრაქციის თავმჯდომარე გიორგი გაბაშვილი.

ქვეყანაში არსებული პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ევროპული საქართველო-თბილისი" ბოიკოტის რეჟიმში ახორციელებდა მასზე დაკისრებულ საქმიანობას. შესაბამისად, ფრაქციის წევრებმა დაწვრილებით განიხილეს ის მიზეზები ამომრჩევლებთან, რის გამოც მათ კონსულტაციების შედეგად, ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება გამოეყენებინათ პოლიტიკური პროტესტის ეს ფორმა.

გარდა ზემოთხსენებული საკითხისა, ფრაქციის წევრებმა ამომრჩევლებს ასევე მიაწოდეს დეტალური ინფორმაცია წლის მანძილზე გატარებული, მიღებული, გაგზავნილი კორესპონდენციის/შუამდგომლობების შესახებ.

ბოიკოტის მიუხედავად, წლის განმავლობაში აქტიურად ტარდებოდა ფრაქციის სხდომები. მიმდინარეობდა ინტენსიური მუშაობა, იგზავნებოდა კორესპონდენცია სახელმიწფო სტრუქტურებთან, მერიის და მის შესაბამის სამსახურებთან საჯარო ინფორმაციის

გამოთხოვნის, ასევე მოქალაქეებისათვის შუამდგომლობის გაწევის და დახმარების მიზნით. წლის განმავლობაში ფრაქციის შუამდგომლობის შედეგად, ათეულობით მოქალაქეს დაუფინანსდა მედიკამენტოზური მკურნალობა. გარდა ამისა, მათ ასევე მიიღეს ერთჯერადი ფინანსური დახმარება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გამგეობებში გადაგზავნილი საშუამდგომლო წერილების საფუძველზე.

ამომრჩევლებს მიეწოდა ინფორმაცია თბილისის მუნიციპალიტეტში შესყიდვების მავნე პრაქტიკის თაობაზე, კორუფციული გარიგებებით მუნიციპალიტეტისთვის მიყენებულ ზარალზე.

საკრებულოს წევრებმა ისაუბრეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაზე, არჩევნების პირველი ტურში დაფიქსირებულ პრობლემებზე, მუნიციპალიტეტის ინტერესებზე.

საკრებულოს/ფრაქციის წევრებმა უპასუხეს დამსწრეთა შეკითხვებს, მოისმინეს მათი წინადადებები სამომავლო გეგმების შედგენასთან დაკავშირებით.

გიორგი გაბაშვილი

დათო ჟღენტი

ელენე ოზაშვილი